



**ეკონომიკური რეფორმა:
ანალიზი, პრობლემები
პერსპექტივები**



**საგადასახადო თეორიები და მათი თანამედროვე
ინტერპრეტაცია**

ზურაბ ვაშაკიძე

ედ, სტუ სრული პროფესორი

ირაკლი კაცაძე

სტუ დოქტორანტი

გადასახადების არსის შესასწავლად მნიშვნელოვანია გავრცელებული საგადასახადო თეორიების და მათი განვითარების ეტაპების გაანალიზება. შეხედულებები საგადასახადო სისტემასა და მის როლზე ეკონომიკაში იცვლება საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად. შეიძლება გამოიყოს საგადასახადო დაბეგვრაზე სხვადასხვა შეხედულებების ფორმირების რამოდენიმე ეტაპი. დაწყებით ეტაპებზე გადასახადი ძირითადად წარმოადგენდა მხოლოდ ეკონომიკურ კატეგორიას, ხოლო ბოლო ეტაპებზე მან უკვე მიიღო სამართლებრივი შინაარსი.

დაბეგვრის სისტემის სრულფასოვან თეორიულ ახსნას ღრმა ისტორიული ფესვები არ გააჩნია. VI-VII საუკუნეებამდე გადასახადებთან დაკავშირებით არსებული თეორიული შეხედულებები ატარებდნენ უსისტემო და შემთხვევით ხასიათს.

ერთ-ერთ პირველს ამ თეორიებს შორის წარმოადგენს **გაცვლის თეორია**, რომელიც დაფუძნებულია დაბეგვრის ანგარებით ხასიათზე. ამ თეორიის არსი შემდგომში მდგომარეობს: მოსახლეობა გადასახადის გადახდით თავისებურად სახელმწიფოსაგან ყიდულობდა მომსახურებას. სახელმწიფო ემსახურებოდა მათ თავდაცვისუნარიანობას, იცავდა გარეშე მტრებისაგან და ამყარებდა წესრიგს ქვეყნის შიგნით.

VII საუკუნეში ევროპის სახელმწიფოების განვითარებასთან ერთად მიმდინარეობდა საგადასახადო თეორიების განვითარებაც. ინგლისელმა ეკონომისტმა **უილიამ პეტიმ** (1623-1687წწ.) „შრომითი ღირებულების თეორიის“ ავტორმა, თავის ნაშრომში „ტრაქტატი გადასახადებსა და შემოსავლებზე“, დაასაბუთა, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლიან საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემას. მისი აზრით, მოქალაქის მიერ არსებობისთვის აუცილებელ მინიმუმზე ზევით არსებული შემოსავალი სახელმწიფოს ეკუთვნის და გადასახადის სახით უნდა იქნეს ამოღებული ბიუჯეტის სასარგებლოდ. გადასახადი უნდა გამომდინარეობდეს სიმდიდრის განაწილების პრინციპიდან, ანუ ის უნდა იყოს თითოეული ინდივიდის ქონების პროპორციული. ამასთან მისი შეხედულებით, რაც უფრო მეტს გადაუხდიან მშრომელებს, ისინი მით უფრო ნაკლებს იმუშავენ და ფაქტობრივად გაზარმაცდებიან.

განმანათლებლობის ეპოქაში გამოჩნდა გაცვლის თეორიის სახესხვაობა – **ატომისტური თეორია**. მისი წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი განმანათლებლები **სებასტიან ლე პტერტ დე ბოზანი** (1633-1707წწ.) – „საზოგადო ხელშეკრულების თეორია“, და **შარლ ლუი მონტესკიე** (1689-1755წწ.) – „სახალხო ხელშეკრულების თეორია“. ატომისტური თეორიის მიმდევრები აღნიშნავდნენ რომ გადასახადი არის მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები უხდიან სახელმწიფოს საზღაურს ყველანაირი მათთვის საჭირო მომსახურებისათვის. აღნიშნული თეორიის მიმდევრები იყვნენ აგრეთვე: ინგლისელი ფილოსოფოსი **ტომას გობსი** (1588-1679 წწ.) ფრანგი მოაზროვნე – (1694-1778 წწ.) **ონორე მირაბო** (1749-1791 წწ.).

XI საუკუნის პირველ ნახევარში შვეიცარიელმა ეკონომისტმა **ჟან სიმონ დე სისმონდმა** (1773-1842 წწ.) თავის ნაშრომში „**პოლიტიკონომიის ახალი დასაწყისი**“ (1819წ.) გადასახადების თეორია ჩამოაყალიბა, როგორც **სიამოვნების, კმაყოფილების თეორია**. ამ თეორიის მიხედვით გადასახადი არის ცალკეული

მოქალაქის მიერ საზოგადოებისაგან მიღებული სიამოვნების, კმაყოფილების საზღაური. აღნიშნული თეორია წარმოადგენს გაცვლის თეორიის უფრო თანამედროვე ვარიანტს.

დაახლოებით ამავე პერიოდში ყალიბდება თეორია – **გადასახადი, როგორც სადაზღვევო პრემია**. ამ თეორიის წარმომადგენლები იყვნენ ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე **ადოლფ ტერი** (1797-1877წწ.) და ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ რამსეი მაკკულოხი** (1789-1864წწ.). მათი აზრით გადასახადი არის სადაზღვევო შენატანი, რომელსაც მოქალაქე უხდის სახელმწიფოს მოსალოდნელი რისკისაგან დაზღვევისათვის.

გადასახადების კლასიკური თეორია (საგადასახადო ნეიტრალიტეტის თეორია). საკმაოდ დიდი ხანი ბატონობდა საზოგადოებაში კლასიკური შეხედულება ეკონომიკაში გადასახადების როლის შესახებ. ამ თეორიას წინა თეორიებთან შედარებით საკმაოდ მაღალი დონე გააჩნდა. კლასიკური თეორიის დაფუძნება დაკავშირებულია ინგლისელი ეკონომისტების **ადამ სმიტისა** (1723-1790წწ.) და **დავიდ რიკარდოს** (1772-1823 წწ.) მოღვაწეობასთან. ამ თეორიის მიმდევრები გადასახადს განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფო შემოსავლების თავმოყრის ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც აუცილებელია მთავრობის შესანახი ხარჯების დასაფინანსებლად. ადამ სმიტის პოზიცია მთლიანად დაფუძნებული იყო საბაზრო ეკონომიკის თეორიაზე და ამიტომ უარყოფდა გადასახადების სხვა ფუნქციებს. ადამ სმიტი სასტიკი წინააღმდეგი იყო ეკონომიკის ცენტრალიზებული, რეგულირებადი მართვისა. ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო და მისი მიმდევრები ეკონომიკას თვლიდნენ მდგრად და თვითრეგულირებად სისტემად, რომელიც რეგულირდებოდა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობით. რომელიმე ერთი კომპონენტის ცვლილება ავტომატურად იწვევს სხვა კომპონენტების ცვლილებას და დარღვეული წონასწორობის გამოთანაბრებას. ეს კი ხდება მწარმოებლების გადაადგილებით სახალხო მეურნეობის დეფიციტურ დარგებში.

ამ თეორიის წარმომადგენელმა **დავიდ რიკარდომ** 1817 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „**პოლიტიკური ეკონომიის და დაბე-**

გერის“ საფუძვლები, რომელშიც მსჯელობდა დაბეგვრის და წარმოების პროცესის, აგრეთვე ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურის თეორიულ ასპექტებზე. **ადამ სმიტმა** კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულა ამ თეორიის ჩამოყალიბებაში. მან რიკარდოზე გაცილებით ადრე 1776 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **„გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“**. ადამ სმიტი შეეცადა მოეხდინა ჩვენს მიერ ზემოთ ხსენებული საკითხების დეტალური ანალიზი. მაგალითად, ის თვლიდა რომ თავისუფალი კონკურენციის მისწრაფება გამოათანაბროს ფასები, იწვევს სახალხო მეურნეობის დარგებს შიგნით რესურსების განაწილების ოპტიმიზაციას, რაც ყოველთვის ახდენს გავლენას ქვეყანაში დასაბეგრი ბაზის ჩამოყალიბებაზე. მისი აზრით საჭიროა სახელმწიფომ დაიცვას მესაკუთრეთა ყველანაირი სამართლებრივი უფლებები და ამასთან ერთად უნდა უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკის განვითარება. ე.ი. მან უნდა შექმნას ისეთი სამართლებრივი ბაზა, სადაც სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტები ხელს არ შეუშლის საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას. რაც შეეხება მშენებლობის, გზების შენახვის, სასამართლო აპარატის შენახვის და სხვათა ხარჯებს, ადამ სმიტის აზრით, ისინი შესაძლებელია დაიფაროს საბაჟო გადასახადებითა და მოსაკრებლებით.

ადამ სმიტი სხვებისაგან განსხვავებით ერთმანეთისაგან აცალკევებდა ჩვეულებრივ გადასახადებს, საბაჟო გადასახადებს და მოსაკრებლებს და ამბობდა, რომ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ჩვეულებრივ გადასახადებად. კლასიკური თეორიით გადასახადები ასრულებს მხოლოდ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შემავსებელ როლს. ე.ი. აქცენტი კეთდებოდა ფისკალურ ფუნქციაზე. აგრეთვე ადამ სმიტთან საუბარია გადასახადების ამოღებისას სამათლიანობის პრინციპებზე. ის სვამს კითხვას: როგორი გადასახადია უფრო სამართლიანი – **პროპორციული**, თუ **პროგრესული** და ფისკალური მოთხოვნილების მიხედვით როგორი საშუალებებით შეიძლება მისი ამოღება.

როგორც ვიცით, საზოგადოებაში ეკონომიკის განვითარების

დონე მუდმივ ცვლილებას განიცდის და შესაბამისად კლასიკურ-მა თეორიამ დროთა განმავლობაში საჭირო კორექტირებები მოითხოვა. დამტკიცდა, რომ დღეისათვის მას რეალური პრაქტიკული გამართლება არ გააჩნია. ეკონომიკური სიდუხჭირის დროს განსაკუთრებით იკვეთება სახელმწიფოსაგან სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რეგულირების აუცილებლობა და რა თქმა უნდა, დაბეგვრის მექანიზმის რეგულირების აუცილებლობა.

აღამ სმიტმა და დავიდ რიკარდომ, აგრეთვე მათმა მიმდევრებმა მაშინდელი ეკონომიკური წყობილების პირობებში ვერ გაითვალისწინეს, რომ გადასახადების ამოღება ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობას და მენარმეების საინვესტიციო პოტენციალს. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ისინი ხომ პირდაპირ ზრდიან საქონლის ფასს და ზემოქმედებენ ნებისმიერი საქონლის მოხმარების დონეზე, ხოლო გადასახადებთან დაკავშირებული ეს მოვლენები პირდაპირ მოქმედებენ ეკონომიკურ პროცესებზე საზოგადოებაში.

კეინზიანური თეორია. ეს თეორია, რომლის ფუძემდებელიც იყო **ჯონ მეინარდ კეინსი** (1883-1946წწ.), გამოვიდა კლასიკური თეორიის მოწინააღმდეგედ. ეს თეორია ასახავს ეკონომიკის ფუნქციონირების ელემენტების საერთო ანალიზს. ის ეყრდნობა სახელმწიფოსაგან მაკროეკონომიკურ რეგულირების მიმართულებას. ამ თეორიის მთავარ არსს წარმოადგენს ის, რომ გადასახადები არის ეკონომიკის რეგულირებისა და მისი წარმატებით განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. **ჯ. კეინსმა** თავისი ნააზრვეი ჩამოაყალიბა ნაშრომში – **„დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“** (1936წ.). აღნიშნული თეორია ამტკიცებს, რომ საჭიროა შეიქმნას მყარი მოთხოვნა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია სახელმწიფოს რეგულირების სხვადასხვა მეთოდების ზემოქმედებით. კეინსის აზრით ეროვნული სიმდიდრის საფუძველს წარმოადგენს დაგროვება. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სრული დასაქმების პირობებში ფულად დანაზოგზე, დაგროვებაზე. მისი აზრით, დანაზოგი უნდა იყოს ზომიერი, თუკი ის დიდია,

მაშინ ხელს შეუშლის ეკონომიკის ზრდას, რადგანაც არ მოხდება მისი მთლიანი გამოყენება წარმოების პროცესში და ის დარჩება, როგორც შემოსავლების პასიური წყარო, ხოლო იმისათვის რომ აღმოვფხვრათ ნეგატიური მოვლენები, ზედმეტი დანაზოგი საჭიროა ამოვიღოთ გადასახადების საშუალებით.

კეინსის აზრით სახელმწიფოს დიდი როლი შეუძლია შეასრულოს საინვესტიციო სახსრების მოზიდვაში. ამ ეფექტის მიღწევა შესაძლებელია როგორც ფულად-საკრედიტო, აგრეთვე საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებითაც. კერძოდ, პროცენტის ნორმის ფიქსაციითა და გადასახადების შესაბამისი სისტემის შემუშავებით შეგვიძლია მოვახდინოთ მოთხოვნის რეგულირება. კეინსიანური თეორია პირველ რიგში აღიარებს სახელმწიფო რეგულირების უპირატესობას. მაგრამ, იგი არ გამორიცხავს კერძო მენარმეთა ინტერესებს და დასაშვებად მიიჩნევს მათ შორის კომპრომისს.

კეინზიანელები მხარს უჭერდნენ დაბეგვრის პროგრესულ სისტემას, რადგანაც თვლიდნენ, რომ პროგრესულ საგადასახადო სისტემას შეუძლია მენარმეთა რისკის სტიმულირება კაპიტალის დაბანდებისას. ბიუჯეტის შემოსავლებსა და გასავლებს შორის სხვაობის ვარირების გზით, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყანაში კონკრეტული ეკონომიკური სიტუაცია, სახელმწიფოს შესაძლებლობა ეძლევა დაამყაროს გარკვეული ნონასწორობა დაგროვებასა და წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის მოცულობას შორის. დაბალანსების ასეთი გზით სახელმწიფო ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის მოცულობაზე და ამ უკანასკნელის მეშვეობით მიწოდების სიდიდეზე.

კეინზიანურმა თეორიამ უკუაგდო მანამდე აღიარებული დოგმა დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ და წინა პლანზე წამოწია ბიუჯეტური დეფიციტის, როგორც ეკონომიკის სტიმულირების პრობლემა. ის თვლიდა, რომ ბიუჯეტური დეფიციტის შექმნის გზით შესაძლებელია გაძლიერდეს დამატებითი მოთხოვნა ეკონომიკაში. წარმოების მაღალი დონის პირობებში საფინანსო პოლიტიკამ უნდა შეზღუდოს მოთხოვნა მაღალი გადასახადების

დანეშებისა და ხარჯების შემცირების გზით. ბიუჯეტური დეფიციტი შეიძლება შენარჩუნებული იქნას აგრეთვე ზრდადი წარმოების პირობებში ეკონომიკის სტიმულირებისა და ზრდის მაღალი ტემპების მიღწევის მიზნით.

კეინსის აზრით გადასახადები ეკონომიკურ სისტემაში მოქმედებენ როგორც „ჩაშენებული სტაბილიზატორი - დრეკადი მექანიზმი“. კეინსის თეორიული შეხედულებები წარმატებით გამოიყენა პრაქტიკაში ინგლისის მთავრობამ. ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, როცა ინგლისის მთავრობამ ყველა ძალა მიმართა სამხედრო მრეწველობის სანარმოების განვითარებისაკენ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში უფრო და უფრო ხშირად ვლინდებოდა ეკონომიკაში კრიზისული მოვლენები, რომელთა დროსაც სახელმწიფოს მიერ ეფექტური მოთხოვნის მიღწევა და ამ გზით ეკონომიკის რეგულირების შესაძლებლობა ვეღარ პასუხობდა ეკონომიკის განვითარების კონკრეტულ დონეს. კეინზიანური რეგულირების სისტემა დაირღვა შემდეგი მიზეზების გამო:

– უპირველეს ყოვლისა, როცა წარმოების პირობების და არა რეალიზაციის პირობების ცვლილებების ფონზე ინფლაციამ მიიღო ქრონიკული ხასიათი და აუცილებელი გახდა სახელმწიფოს ისეთი ჩარევა რეგულირების პროცესში, რომლის დროსაც მოხდებოდა რესურსების მიწოდების გაძლიერება და არა მოთხოვნისა.

– მეორეს მხრივ, ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის განვითარებით მოხდა თითოეული ქვეყნის შიდა ბაზარზე დამოკიდებულების გაძლიერება. ამ დროს მოთხოვნის სტიმულირება ასრულებდა დადებით როლს უცხოური ინვესტიციებისათვის, ამიტომ კეინსის კონცეფცია „ეფექტური მოთხოვნის“ შესახებ შეცვალა ნეოკლასიკურმა თეორიამ „ეფექტური მიწოდების“ შესახებ.

ნეოკლასიკური თეორია დაფუძნებულია მდგრადი ეკონომიკის, კერძოდ წარმოებითი პროცესების პირობებში თავისუფალი კონკურენციის უპირატესობაზე. განსხვავება კეინზიანურ და ნეოკლასიკურ თეორიებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ისინი

სხვადასხვანაირად უდგებიან და განიხილავენ სახელმწიფო რეგულირების მეთოდებს. ნეოკლასიკური მიმართულების თანახმად შიდა კორექტირებადი ზომები მიმართული უნდა იყოს თავისუფალი, კონკურენციის ხელისშემშლელი მოვლენების აღმოსაფხვრელად, ამიტომ სახელმწიფო ჩარევამ არ უნდა მოახდინოს ბაზრის ბუნებრივი თვითრეგულირებადი კანონის შეზღუდვა. იმ კანონისა, რომელსაც გარედან რაიმე დახმარების გარეშე შეუძლია მიაღწიოს ეკონომიკაში წონასწორობის დონეს. ე.ი. ნეოკლასიკური მიდგომა არ მოითხოვს ბაზრის გამანაწონასწორებელ მექანიზმში სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების უშუალოდ ჩარევას. სწორედ ამაში მდგომარეობს მისი განსხვავება კეინზიანური თეორიისაგან, რომელიც ამტკიცებს, რომ დინამიური წონასწორობის მექანიზმი არამყარია და კატეგორიულად მოითხოვს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის უშუალო ჩარევას.

ნეოკლასიკური მოდელის ფუძემდებელი იყო **ჯონ სტიუარტ მილი**, რომლის აზრით სახელმწიფოს უნდა შეესრულებინა არაპირდაპირი როლი ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში. თავისი ხარჯების შესაძლო უსაზღვრო მატების ტენდენციის გამო, იგი სახელმწიფოს თვლიდა ეკონომიკაში დესტაბილიზაციის შემტან ფაქტორად, ე.ი. უარყოფდა მის პირდაპირ ჩარევას ეკონომიკაში. ნეოკლასიკოსები უპირატესობას ანიჭებდნენ მხოლოდ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და არ ითვალისწინებდნენ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას. ისინი თვლიდნენ, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამოყენებით შეიქმნებოდა შემოსავლების გადანაწილების ეფექტური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სრულ დასაქმებას და ეროვნული სიმდიდრის ზრდას.

ნეოკლასიკურ თეორიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ორმა ძირითადმა მიმართულებამ: „მიწოდების ეკონომიკის“ თეორიამ და მონეტარიზმმა.


მიწოდების ეკონომიკის თეორია ჩამოაყალიბეს 80-იანი წლების დასაწყისში ამერიკელმა მეცნიერებმა **მ. ბერნსმა, გ. სტიანმა**

და **ა. ლაფერმა**. ეს თეორია კეინსიანურ თეორიაზე უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გადასახადებს და მას განიხილავს როგორც ეკონომიკის რეგულირებისა და განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს. ეს თეორია ითვალისწინებს გადასახადების შემცირებას და კორპორაციებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას, რადგანაც ამ თეორიის მიმდევართა აზრით მაღალი გადასახადები აფერხებენ სამენარმეო ინიციატივას და ამუხრუჭებენ საინვესტიციო პოლიტიკასა და წარმოების განახლება-გაფართოებას. ისინი მოითხოვენ სახელმწიფო ხარჯების აუცილებელ შემცირებას. ამ თეორიის მთავარი არსი არის ის, რომ ბაზრის ყველაზე კარგი რეგულატორი თვითონ ბაზარია, ხოლო დიდი გადასახადები და სახელმწიფო რეგულირება მხოლოდ და მხოლოდ ხელს უშლიან ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას.

თავის დროზე ადამ სმიტმა გარკვევით მიგვითითა, რომ გადამხდელის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით სახელმწიფო უფრო მეტ სარგებელს ნახულობს, ვიდრე პირიქით. დაბალი განაკვეთებით დაბეგვრის შედეგად ხდება თანხების გამოთავისუფლება, რომლიდანაც შემდგომ დამატებითი შემოსავალი მიიღება იგივე გადასახადების სახით. ამასთან გადამხდელი უფრო თავისუფლად ახდენს გადასახადების გადახდას, რაც ამცირებს გადასახადების აკრეფის ღონისძიებებზე დანახარჯებს.

აღნიშნული თეორიის მთავარი არსი შემდგომში მდგომარეობს: მაღალი დასაბეგრი განაკვეთები უარყოფითად მოქმედებენ, როგორც სამენარმეო, ასევე საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებაზე, რაც საბოლოო ჯამში იწვევს საგადასახადო შემოსავლების შემცირებას. ამიტომ ამ თეორიის მთავარი მოთხოვნაა შევამციროთ დასაბეგრი განაკვეთები და მივცეთ საწარმოებსა და კორპორაციებს ყველა შესაძლო შეღავათი დაბეგვრის განხორციელებისას.

პროფესორმა **არტურ ლაფერმა** ნახაზზე პარაბოლის საშუალებით გვიჩვენა თუ როგორი დამოკიდებულება არსებობს პროგრესულ დაბეგვრის სისტემასა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის (ნახ. 1.).




ნახ.1. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დამოკიდებულება დაბეგვრის დონეზე

ამ ნახაზზე მოცემულ პარაბოლაში ჩადებულია შემდეგი იდეა: „რაც უფრო მაღალ ზღვარს უახლოვდება საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო მეტად იქნება მოტივირებული ინდივიდების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდება. „ხალხი არ მუშაობს იმისათვის რომ იხადოს გადასახადი“ – ა. ლაფერი.

თუკი მენარმემ ვერ დაინახა მოგების მიღების პერსპექტივა და ნორმალურად ფუნქციონირებადი ბაზრის პირობებში მოხდა მისი დისკრიმინაცია მაღალი და პროგრესული გადასახადებით, მაშინ ეკონომიკური აქტიურობის დონე განიცდის დაცემას და მენარმის ჩართვა აქტიურ წარმოების პროცესში ფუჭ იდეად იქცევა. ლაფერი თვლის რომ ეკონომიკის აყვავებისათვის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მეურნე აგენტების დაინტერესება.

საგადასახადო განაკვეთის ზრდა გარკვეულ ზღვრამდე, ნიშნულამდე, ახდენს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ამ ნიშნულს ზემოთ მათი ზრდა კი იწვევს შემოსავლების ცოტაოდენ შენელებას, შემდეგ უკვე გრძელდება ბიუჯეტის შემოსავლების ნელი ტემპით შემცირება, იშვიათად კი ხდება მისი მკვეთრი დაცემა, ე.ი. როცა სა-

გადასახადო განაკვეთი აღწევს გარკვეულ დონეს ხდება სამეწარმეო ინციატივის დაცემა, არ ხდება წარმოების მასშტაბების გაზრდის სტიმულირება, იკლებს მეწარმის შემოსავლები, რომლებიც ექვემდებარება დაბეგვრას. რის შედეგადაც გადამხდელი „ლეგალური“ ეკონომიკის სექტორიდან გადადის „ჩრდილოვანი“ ეკონომიკის სექტორში. ა. ლაფერის თეორიით ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარება უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია საგადასახადო სისტემასთან, ე.ი. გადასახადების ზრდა ახდენს ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდას. გადამხდელი ლეგალურად, თუ არალეგალურად თავს არიდებს გადასახადებს. რის შედეგადაც შემოსავლების დიდი ნაწილი რჩება არადეკლარირებული. (ნახ.2.)



ნახ.2. ეკონომიკური აქტიურობის დონისა და საგადასახადო ბაზის დამოკიდებულება დაბეგვრის დონის ცვლილებაზე

ა. ლაფერი თვლის რომ მიღებული შემოსავლების 30%-მდე ამოღების შემთხვევაში იზრდება ბიუჯეტის შემოსავლების დონე, ხოლო 40%-დან 50%-მდე შემოსავლების ამოღებისას, როცა საგადასახადო განაკვეთი ხდება „აკრძალულ ზონაში“ (ნახ.1.) მოსახლეობის დანაზოგი მცირდება, რაც იწვევს ეკონომიკის ამა თუ იმ დარგში ინვესტირების შემცირებას და საგადასახადო შემოსავლების შემცირებას. გადასახადების შემცირება კი, პირიქით იწვევს ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას, რასაც შემდგომში მოჰყვება სახელმწიფო შემოსავლების ზრდა არა საგადა-

სახადო განაკვეთის ზრდის შედეგად, არამედ დასაბეგრი ბაზის ზრდის შედეგად. ამ თეორიის ზოგიერთი ასპექტებით ისარგებლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საგადასახადო რეფორმის ჩატარებისას XX საუკუნის 20-60-იან წლებში, ხოლო მისი განახლებული ვარიანტით 80-იანი წლების რეფორმებისას.

მონეტარიზმის თეორია ამ საუკუნის 50-იან წლებში წამოაყენა ცნობილმა ეკონომისტმა ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორმა **მილტონ ფრიდმანმა**. ის ეყრდნობა ადრინდელ ფულის რაოდენობრივ თეორიას. ფრიდმანი თავისუფალი ბაზრის იდეის მიმდევარია. ის გვთავაზობს, რომ სახელმწიფო შემოიფარგლოს მხოლოდ ისეთი სფეროს რეგულირებით, როგორიცაა ფული და ფულადი ბრუნვა, რადგანაც სხვა ძალას მისი კონტროლირების საშუალება არ გააჩნია. მონეტარიზმის თეორიაც ნაწილობრივ მხარს უჭერს საგადასახადო განაკვეთის შემცირებას, მაგრამ წინა თეორიებისაგან განსხვავებით ამ თეორიის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ეკონომიკის რეგულირების ძირითად საშუალებას წარმოადგენს მიმოქცევაში ფულადი მასის სიდიდისა და ბანკებში საპროცენტო განაკვეთების დონის ცვლილება. სახელმწიფო ყოველწლიურად ახდენს უფრო და უფრო მეტი სახსრების ხარჯვას, რაც იწვევს ინფლაციის დონის დამატებით ზრდას, ამიტომ, ფრიდმანის აზრით, სახელმწიფომ არ უნდა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნაში, უფრო სწორად არ უნდა დაუშვას მისი ჩარევა ამ სფეროში. არ უნდა დავუშვათ აგრეთვე, რომ სახელმწიფომ მოახდინოს ფასების, დასაქმების დონისა და წარმოების მოცულობის რეგულირება. მაგრამ მას შეუძლია მოახდინოს მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირება – ჭარბი ფულის მიმოქცევიდან ამოღებით, სესხების ან გადასახადების მეშვეობით. ამგვარად, ფულადი მასისა და საპროცენტო განაკვეთის მანიპულირება და მისი შეთანაწყობა საგადასახადოების დონის შემცირებასთან საშუალებას იძლევა შეიქმნას სტაბილური ფუნქციონირების მექანიზმი როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის საწარმოებისათვის.

მონეტარიზმის თეორიაში გადასახადებს არ ენიჭება ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც კეინზიანურ თეორიაში. ფრიდმანის

კონცეფციაში გადასახადები გამოდის ფულადი მასის მოძრაობაზე მოქმედი სხვა მექანიზმების გვერდით. კერძოდ, გადასახადების საშუალებით ხდება ქარბი ფულის მასის ამოღება მიმოქცევიდან. მონეტარისტულ თეორიაში, ისევე როგორც კეინზიანურ თეორიაში, ამცირებენ ეკონომიკის განვითარების არახელსაყრელ ფაქტორებს. მაგრამ, თუ **მონეტარისტებთან** ამ ფაქტორს წარმოადგენს ქარბი ფული, **კეინზიანელებთან** ეს ფაქტორია – ქარბი დანაზოგი.

ნეოკლასიკური თეორიების ძირითად იდეას წარმოადგენს ინფლაციის შენელება. საგადასახადო შეღავათების მინიჭება კორპორაციებისა და მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელიც ახდენს დიდი რაოდენობით სამომხმარებლო მოთხოვნის ფორმირებას ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ ნეოკლასიკური თეორიები საკმაოდ პოპულარულია და პრაქტიკულადაც ხშირად ხდებოდა მისი გამოყენება, მთლიანი შეცვლა ეკონომიკის რეგულირების კეინსიანური მეთოდებისა არ მომხდარა. კეინზიანური თეორიის განვითარებაშიც წარმოიშვა ახალი მიმდინარეობები, რომლებიც წარმოადგენენ მის სინთეზს ნეოკლასიკური თეორიის ზოგიერთ მიმართულებასთან.

ნეოკეინზიანური თეორიის წარმომადგენლებია ინგლისელი ეკონომისტები **სტენლი ფიშერი**, **ნიკოლას კალდორი** და სხვები. ისინი თვლიდნენ, რომ აუცილებელია დაბეგვრის ობიექტების მოხმარებასთან მიმართებით განცალკევება, რომ დაიბეგროს მოხმარებული პროდუქციის საბოლოო ღირებულება და ანაზრების საპროცენტო განაკვეთი. აქედან წარმოიშვა მოხმარებიდან გადასახადის იდეა, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს დანაზოგების წახალისებისა და ინფლაციასთან ბრძოლის საშუალებას. ფული, რომელიც ადრე განკუთვნილი იყო სამომხმარებლო საქონლის შეძენისათვის, ახლა შეიძლება მიმართული იყოს ინვესტირებისათვის ან დაგროვებისათვის, რომელიც გადაიქცევა კაპიტალდაბანდებად ჩვენთვის ცნობილი საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით – „ქარბი დაგროვების ამოღებით“. გრძელვადიანი დანაზოგები უკვე თავისთავად წარმოადგენს შემდგომი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობ ფაქტორს.

წარმოების დაცემის დროს გასავალი-ხარჯები სამომხმარე-

ბლო ბაზარზე მცირდება უფრო ნელა, ვიდრე შემოსავლები, რაც ინვეს მოთხოვნის მნიშვნელოვან გაზრდას. ამიტომ მოხმარებაზე გადასახადიდან მიღებული შემოსავალი საკმაოდ მატულობს, ვიდრე საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისას. ამგვარად საგადასახადო სისტემას არ შეუძლია „ჩაშენებული რეგულატორის“ როლის შესრულება.

ნიკოლას კალდორი თვლიდა რომ მოხმარებაზე გადასახადი პროგრესული განაკვეთით, ცალკეული საქონლის სახეებზე დათმობებისა და შეღავათების გამოყენებით უფრო სამართლიანია, ვიდრე რეალიზაციიდან ფიქსირებული გადასახადი დაბალშემოსავლიანი ადამიანებისათვის. გარდა ამისა საშემოსავლო გადასახადთან შედარებით ეს გადასახადი არ ბეგრავს დანაზოგს, რომელიც აუცილებელია შემდგომი ინვესტირებისათვის, პირიქით ასტიმულირებს მათ ზრდას.

დღესდღეობით არ არსებობს ეკონომიკური რეგულირების ერთი რომელიმე ჭეშმარიტი თეორია. ამიტომ საზღვარგარეთის იმ ქვეყნებში, სადაც პრაქტიკულად გამოიყენება რეგულირების მეთოდები, ხდება სამი ძირითადი კონცეფციის ურთიერთქმედება: კეინზიანური თეორიის სხვადასხვა მიმართულების, „მიწოდების ეკონომიკის“ თეორიისა და „მონეტარიზმისა“. თუმცა ნეოკლასიკური მიმართულებები უფრო ხშირად გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების თეორიულ საფუძვლად, მაგრამ თანამედროვე მეცნიერები აღარ გამოყოფენ ამ მეთოდებს კეინზიანურისაგან, რადგანაც თავის ნაშრომებში ამტკიცებენ მათ ურთიერთშელეწევადობას.

ცნობილი ეკონომისტი **პოლ სამუელსონი**, თავის ნაშრომში „**ეკონომიკა**“, აღიარებს სახელმწიფოს გამწვანებლობას და გვთავაზობს მისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების კონკრეტულ გზებს, რომლებშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია გადასახადებს. ამასთანავე ის გვევლინება დაბეგვრის სისტემაში პროგრესულობის მომხრედ. იგი აღნიშნავს: „გადასახადების სტრუქტურა უნდა იყოს ისეთი, რომ მისი დახმარებით საბაზრო მექანიზმით განსაზღვრული შემოსავლები გადანაწილებული უნდა იქნას საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად“.

პ. სამუელსონთან კლასიკური და კეინზიანური შეხედულებები ერთმანეთში გადახლართულია, მაგრამ მას ეს სულაც არ უშლის ხელს მოგვცეს საჭირო რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ ფისკალური პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით. გამოიკვლია რა სხვადასხვა კონკრეტული გადასახადების „პირდაპირი, პროპორციული და პროგრესული დაბეგვრის პრინციპებთან დაკავშირებული თვისებები, სამუელსონი კონკრეტულ შემთხვევებში მიგვითითებს მათ შესაძლო რეგრესულ შედეგებზე. სწორედ ამას შეუძლია გამოიწვიოს წამქეზებელი მოტივების შესუსტება მოქალაქეთა საქმიანობაში და საზოგადოებრივი რესურსების გამოყენების ეფექტურობის შემცირება. საგადასახადო პოლიტიკა უნდა იყოს ანონილი და მოფიქრებული, გადანყვებილი თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდების დახმარებით. არ შეიძლება, აგრეთვე, ყურადღება არ მივაქციოთ ორმაგი დაბეგვრის პრობლემას და არ გავითვალისწინოთ „გადასახადების „გადაკისრების“ უარყოფითი გამოვლინებები¹. საგადასახადო სისტემა ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, ზოგჯერ ის პირდაპირ გავლენას ახდენს ფასებსა და სხვა ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, ამიტომ აუცილებელია გადასახადების ზემოქმედება განვიხილოთ პროგრესულობის თვალსაზრისით.

კერძოდ, პ. სამუელსონმა დაასაბუთა თავისი შეხედულება იმის შესახებ, რომ ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისათვის აუცილებელია საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთმანეთთან ურთიერთკავშირში ფორმირება. პ. სამუელსონის აზრით ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ოპტიმალური ინტეგრირება არა მარტო უზრუნველყოფს ეკონომიკის განვითარების არასასურველი მოვლენების შერბილებას, არამედ შექმნის ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელი იქნება სტაბილური განვითარება.

მკვლევარი-ეკონომისტები სულ უფრო ხშირად მიმართავენ გამოყენებით მეცნიერებებს, უთმობენ რა გადასახადებს თავის

1 ორმაგი დაბეგვრის პრობლემის თავიდან აცილების მიზნით, OCDE-მ შეიმუშავა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მეშვეობით მისი ხელმომწერი ქვეყნები ახერხებენ ამ პრობლემის ნაწილობრივ დაძლეvas.

თეორიულ გამოკვლევებში ეკონომიკური პროცესების რეგულატორის როლს. რამდენადაც საგადასახადო თეორიებმა უკვე დაამტკიცეს მათი ობიექტურობა, ამდენად აუცილებელია გავაკეთოთ ისე, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ საგადასახადო სისტემის ყველა ფუნქციონალური უპირატესობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ბევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორია გვიჩვენებს საგადასახადო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებისა და სტრუქტურის მრავალფეროვნებას. მაგრამ ამ პოლიტიკას ჩვეულებრივ გააჩნია შემდეგი მიზანი: სტიმულირება გაუწიოს ან შეზღუდოს მეურნე სუბიექტების საქმიანობა, უზრუნველყოს ბიუჯეტი შემოსავლებით, შეასრულოს საზოგადოებრივი ინტერესები. საგადასახადო შეღავათებით ვარირება, მათი დიფერენციაცია კი საშუალებას იძლევა ზემოქმედება მოვახდინოთ წარმოების დინამიკასა და სტრუქტურაზე კაპიტალდაბანდებებზე და დასაქმებაზე, აგრეთვე შემოსავლების გადანაწილებაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იან წლებში ჩატარებული ეკონომიკური რეფორმა მოწმობს, ამერიკელი ეკონომისტების მიერ დაგროვილი თეორიული გამოკვლევებისა და პრაქტიკული ჩვევების ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას გარკვეული დროისათვის. საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ ამ თანამედროვე საგადასახადო სისტემის აგების პრინციპებზე, რომლებიც ჩადებული იყო განხორციელებული რეფორმის საფუძველში:

1. სამართლიანობა ვერტიკალურად – როცა გადასახადი შეესაბამება გადამხდელის მატერიალურ შესაძლებლობებს;
2. სამართლიანობა ჰორიზონტალურად – ერთიანი საგადასახადო განაკვეთის გამოყენება ერთი და იგივე სახის შემოსავლებზე;
3. ნეიტრალურობა – საინვესტიციო დაბანდებების სფეროსაგან დამოუკიდებლობა;
4. სიმარტივე – გამოთვლაში, გაგებაში...

დღესდღეისობით საქართველოში მოქმედი საგადასახადო სისტემა ნაკლებეფექტურია. მისი საშუალებით შეუძლებელია ნორმალური საგადასახადო პოლიტიკის გატარება. ამის მიზეზია ის, რომ საგადასახადო სისტემის ფორმირება დაიწყო და დღესაც

გრძელდება სათანადო თეორიული საფუძვლების გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული საგადასახადო სისტემის სიმძიმე ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, მცირდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა.

შეიძლება ითქვას რომ, ჯერ-ჯერობით არ არის აღიარებული რომელიმე ჩვენს მიერ განხილული თეორიული მოდელი, როგორც ყველა ქვეყნისათვის მისაღები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სასურველი შედეგის მიღწევა ხდება ძირითადი კონცეფციების ურთიერთქმედებით.

საგადასახადო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის ყოველთვის არ არის საკმარისი მისი აგების პრინციპების, გადასახადების, მათი სახეებისა და ფორმების ცოდნა. ამიტომ თანამედროვე საგადასახადო თეორიები თავის გამოკვლევებს აგებენ მოქმედი საგადასახადო სისტემის ანალიზზე, რომლის საშუალებითაც ხდება პოზიტიური და ნეგატიური შედეგების გამოვლინება და გვეძლევა მისი შემადგენელი ელემენტების კორექტირების საშუალება. ამის შემდეგ ხორციელდება გადასახადების მოქმედებისათვის ოპტიმალური ზღვრის მიგნება და მის ფარგლებში შესაძლო რეგულირება მეტი ფისკალური ეფექტისა და წარმოების სტიმულირების მიზნით.

Resume

Zurab Vashakidze, Irakli Kacadze

The Tax Theories and their Modern Interpretation

Consistency and commitment of the theoretical means and methods suggested by scientists of different economic fields have to be considered during macroeconomic management in order to easily solve significant tasks that are essential for the economic development of the society, i.e. it is necessary to put careful thinking into the methods of economic regulation and make corrections with the purpose to reach the desired outcome.